როგორც ზემოთ მოგახსენეთ კონგრესი ტარდება მსოფლიო არქიტექტურის კავშირსა და მასპინძელი ქვეყნის მიერ. კონგრესზე რა თქმა უნდა მონაწილეობდა საქართველოს არქიტექტორთა კავშირი და ასევე კერძო არქიტექტორებიც. მაგრამ პირველად კონგრესების ისტორიაში საქართველოს სახელმწიფო არ-





ქიტექტურულ გამოფენას განსაკუთრებული ადგილი დაეთმო, იმ სპეციალურ პავილოონში, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტები, კონცეპციები თუ პოლიტიკური მანიფესტებია გამოფენილი. სწორედ ჩვენი სახელმწიფო პავილიონი ერთგვარ პოლიტიკურ მანიფესტად შეიძლება ჩაითავლოს. მითუმეტეს, რომ საქართველოს პრეზიდენტის მონაწილეობა კონგრესის დახურვის ცერემონიალზე და მისი ძალზედ ემბლემატური და გრძნობებით აღსავსე სიტყვა, ამის პირდაპირი დასტურია.

**– ჩვენი მონაწილეობა კონგრესში, საქართველოს მეგობარი იტალიელი არიტექტორების ჯგუფის ინიციატივით მოხდა. ჯგუფში გაერთიანებულნი არიან ცნობილი არქიტექტორები – ლეოპოლდო ფრეირი, მიკელე დელუკი, მარკო პესტალოცა.**

ლეოპოლდო ფრეირიმ, რომელიც კონგრესის ორგანიზატორი გახლდათ, მიმართა საქართველოს მთავრობას – ჩვენი მხრიდან, ტურინში წარმოსაჩენად და საერთაშორისო შემოქმედებით გარემოში ინტეგრაციისათვის, მომზადებულიყო ექსპოზიცია და პროფესული კუთხით გაშუქებულიყო საქართველოში მიმდინარე არქიტექტურული სიახლეები. საქართველოში დიდი ინტერესით შეხვდნენ ამ შემოთავაზებას. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ეკა შარაშიძემ შესაბამისი ძალისხმევა გამოიჩინა, რომ საქართველო ღირსეულად წარმდგარიყო საერთაშორისო პროფესიონალურ სივრცეში და ჩვენი წარმატებაც დიდწილად სწორედ მისი დამსახურებაა.















ნინო გეგეშიძის (ორგანიზატორ-მენეჯერი), ნინო არზიანის (სამინისტროს წარმომადგენელი, ორგანიზატორ-მენეჯერი) და ჩემი შემადგენლობით, შეიქმნა შემოქმედებითი ჯგუფი. ტურინში წამოსაჩენად, შეირჩა, საქართველოში უცხოელი და ქართველი არქიტექტორების პროექტების მიხედვით განხორციელებული არქიტექტურული ობიექტები. ტურინში, "მიკელე დე ლუკის" ოფისში, ორი კვირის განმავლობაში ვმუშაობდით საექპოზიციო მასალის მოსამზადებლად. რეკორდულ დროში მოხდა საგამოფენო დარბაზში სტენდის მოწყობა. საქართველოს სტენდზე, წარმოჩენილი იყო, ისეთი ნაშრომები, როგორიც არის: მიკელე დელუკის - სასტუმრო „მედეა“ აჭარაში, ასევე წარჩინებული პროექტები ჰაიეტი, კემპინსკი, რედისონი, ინტერკონტინენტალი და ყველა მნიშვნელოვანი დეველოპერული პროექტი, რომელიც ამჟამად ხორციელდება საქართველოში.

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოს სტენდი, სნგ-ს სხვა ქვეყნებთან შედარებით, აშკარად გამოირჩეოდა და სრულიად არაორდინალური, საინტერესოდ დატვირთული იყო. ჩვენს ექსპოზიციას უწყვეტი და უამრავი დამთვარიელებელი ჰყავდა. თავად, კონგრესის ორგანიზატორებმა კი აღნიშნეს, რომ მათთვის წარმოდგენილის მაღალი დონე და ხარისხი, იმდენად სასიამოვნოდ მოულოდნელი იყო, რომ სამომავლოდ, მსგავსი სართაშორისო ღონისძიება, შესაძლებელია საქართველოშიც ჩატარდეს.

**– როგორც ცნობილია, კონგრესის დახურვას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ესწრებოდა. მოკლედ გვიამბეთ ამ ფაქტის შესახებ.**

– კონგრესზე მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა ქართული სტენდი დაათვალიერა, კონგრესში მონაწილე წარჩინებულ ახალგაზრდებს შეხვდა, ხოლო შემდეგ კონგრესის მონაწილეებს სიტყვით მიმართა.

თავის გამოსვლაში მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ მისი კონგრესზე მოწვევა ადასტურებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება საქართველოში: „რამოდენიმე წლის წინ საქართველოში ვითარება იყო რთული, ხალხის განწყობა უიმედო. დღეს კი, საქართველო შენების პროცესშია. მოხდა ხალხის, იდეებისა და არქიტექტურის ტრანსფორმაცია. საქართველო და მისი არქიტექტურა ყოველთვის იზიარებდა ევროპულ ღირებულებებს. საქართველო არის ისტორიული რეაბილიტაციისა და ახლის შექმნის შერწყმის ნათელი მაგალითი. არქიტექტურა ეყრდნობა თავისუფლებასა და გამბედაობას და ცივილურ გარემოში ინტეგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია.

**– დიდი მადლობა, ბატონო ნიკა, საინტერესო ინფორმაციის მოწოდებისთვის, სამომავლოდ გისურვებთ, კვლავ წარმატებებს შემოქმედებით სარბიელზე.**

ესაუბრა ნინო ლაღიძე









# 23rd World Congress of Architects in Turin

On June 30 - July 3 2008 the 23rd World Congress of Architects was held in Turin, Italy. Leading architects from all over the world presented their works at the congress. This gigantic forum also included projects created by Georgian architects. For the first time in the history of UIA Congress, Georgian National Pavilion was placed at an advantageous location, equaling that of the special guests of the congress. In this connection, we had an opportunity to interview architect Nika Chkhaidze, one of the organizers of Georgian National Pavilion at UIA Congress 2008.

**- Can you please tell us in a couple of words about the World Congress of Architects?**

- Once every three years, International Union of Architects arranges the World Congress, which attracts thousands professional architects and students, wishing to discuss important issues, related to their professional activities.

UIA Congress is a gathering point for representatives of all the countries. Every edition of the Congress, dedicated to a particular, preliminarily selected topic, is organized by the national UIA branch of the country hosting the Congress. Assemblies, discussions, exhibitions, site visits and festivals taking place during UIA Congresses offer a unique platform for experience sharing and cultural contacts between practicing architects and students.

Since 1948 UIA organized 22 Congresses. Each lasts 3-4 days and is ended in a General Assembly, at which the UIA Board, finishing its mandate, reports for the activities, implemented during the previous three years. General Assembly elects a new UIA Board and Council and agrees the venue of the next Congress. For your information, the next Congress will be held in Tokyo, Japan.

Congress agenda also includes award ceremony, during which Gold Medals, UIA Prizes and diplomas are awarded to the best architects and winners of student competition.

**- What was the theme of this year's UIA Congress?**

- Following the decision of UIA Congress 2002, held in Berlin, Germany, Turin was the first Italian city to host a World Congress of Architects, and it was decided that the main theme of UIA Congress Turin-2008 would be "Transmitting Architecture. Symbols, messages and values within the information society".

Working sessions of the Congress lasted from June 30 to July 2 2008. Each of these three days was dedicated to discussion of one of the aspects of the main theme "Transmitting Architecture", which the Scientific Committee had subdivided into three topics: The Past, Culture (June 30), The Present, Democracy (July 1), The Future, Hope (July 2).



Congress agenda was enriched with special "live spaces", independent actions and meetings with invited guests.

I would also like to note that the Congress was held in Lingotto Complex, including a congress-center, connected by roofed passages with exhibition space, composed of five pavilions.

Lingotto premises, once a part of Fiat factory, built in 1917-1920, has been recently transformed by architect Renzo Piano into a modern multifunctional center.

**- What factors conditioned participation of Georgian architecture in the Congress?**

- As I told you earlier, such Congresses are jointly organized by the UIA and the host country. Union of Architects of Georgia and Georgian architects did take place in previous editions of UIA Congress, but











this year was the first time when the exposition of Georgian national architecture was placed in a special pavilion dedicated to the most important projects, concepts and political manifests. Actually, our exposition might have been considered as a political manifest. Especially considering participation of the President of Georgia in the Congress and the most symbolical and emotional speech he addressed to the public.

Our participation in Turin-2008 was organized due to the initiative of a group of Italian architects, including Michele Deluci, Leopoldo Freyrie and Marco Pestalocca. Leopoldo Freyrie, who was actively engaged in organizational activities of Turin-2008, addressed the Georgian government with the request to enable participation of Georgians in the Congress, in order to enable their integration in the international architectural community and inform the world about the development of architecture in Georgia. This offer met considerable interest in our country. Ms. Eka Sharashidze, Minister of Economic Development of Georgia, applied considerable effort to organizing participation of Georgian architects in this international forum and our success is greatly due to his contribution. The group of Georgian architects, sent to Turin, consisted of Nino Gegeshidze (organizer-manager), Nino Arziani (representative of the Ministry of Economic Devlopment, organizer-manager) and myself. A creative group was formed, architectural constructions implemented in Georgia by local and foreign architects were selected for the Congress exhibition. We then spent two weeks in Michele De Luci office, preparing the exposition materials. In a very brief period of time we managed to arrange the exhibition stand. For your information, our stand featured such architectural constructions as Medea Hotel in Ajara, designed by Michele De Luci, projects by Hyatt, Kempinski, Radisson, Intercontinental and other important architectural projects currently implemented in Georgia.



It is really important to consider that the Georgia exposition was highly original and meaningful as compared to those of other NIS countries. Our exposition attracted a great deal of visitors. Congress organizers specially noted that the high level and quality of works we presented at the exhibition was such an unexpected surprise for them, that they will seriously consider arranging UIA events in Georgia in the future.



**- Closing Ceremony of the Congress was attended by Mikheil Saakashvili, president of Georgia. Can you please comment on this?**

- President of Georgia attended the Congress, visited the Georgian exposition, met with the youngsters, taking part in the event and greeted Congress participants with a formal speech. When addressing Congress participants, Mikheil Saakashvili noted that his being invited to Torino 2008 confirms the importance of changes currently taking place in Georgia. He said that the situation in our country was rather complex several years ago and the local population felt discouraged. But the Georgian people and their ideas and goals underwent tangible transformation during the recent years. According to Mr. Saakashvili, Georgia and its architecture always shared the core European values. New Georgia is a clear example of historical rehabilitation merged with new developments; Georgian architecture, based on freedom and confidence, represents one of the important components of our integration in the civilized world.

**- Thank you very much for supplying us with interesting information. We would like to wish you all the best in your creative activities.**

INTERVIEWED BY NINO LAGHIDZE

























# ვენეციის ბიენალე








**ავტორი: არქიტექტორი ლენა კილაძე**

წლევანდელი ბიენალეს მე-11 საერთაშორისო გამოფენა უჩვეულო იყო თავისი თემატიკით “Out There-Architecture beyond building” და კიდევ იმით, რომ საქართველოში მისთვის ალბათ არც არავის ეცალა - ომი იყო, თუმცა ამის და მიუხედავად მონაწილეობა მაინც შეძლო და მისი გაშუქებაც მოხერხდა

**Author: Architect Lena Kiladze**

The 11th International Architecture Exhibition of this year’s Venice Biennale was unusual as regards its scope and theme - “Out there – Architecture Beyond Building”. Georgia paid next to no attention to it because of the military actions developed in our country several months ago, but Georgia was nonetheless represented at Venice Biennale.




# Venice Biennale

## არქიტექტურა შენობებს მიღმა / ვენეციის ბიენალეს დღიური
## Architecture Beyond Building / Venice Biennale Diary

აარონ ბეტსკი და ლენა კილაძე
AARON BETSKY AND LENA KILADZE



"არქიტექტურა არ არის მხოლოდ შენობა ან მათი ერთობლიობა - ესაა ის, თუ როგორ ვფიქრობთ, როგორ ვსაუბრობთ მათ შესახებ, როგორ წარმოვადგენთ მათ და როგორ ვაშენებთ ან როგორ კრიტიკულ ალტერნატივას ვთავაზობთ. ...ეს მუდმივად ცვლადი და განვითარებადი პროცესია.

... დღეს რეალურ არქიტექტურას მონუმენტები ჩაენაცვლა, ...არქიტექტურამ თავისი მნიშვნელობა და შინაარსი დაკარგა. დაკარგა მისწრაფება შექმნას უკეთესი სამყარო. სამყარო ღია შესაძლებლობებით, ღია გონებით, სამყარო, რომელიც ყოველდღიურობის მიღმა იქნება. არქიტექტურა სწორედ ისაა, რაც გვაძლევს საშუალებას თავი მის გარემოცვაში, ისე ვიგრძნოთ, როგორც საკუთარ სახლში." - აარონ ბეტსკის, ბიენალეს წლევანდელი კურატორის, ეს დამაინტრიგებელი კონცეფცია დაედო საფუძვლად 11 საერთაშორისო არქიტექტურულ გამოფენაზე წარმოდგენილ ინსტალაციებსა და მანიფესტებს.

"Architecture is not only building – architecture is how we think and discuss buildings, how we show them, how they are built and what critical alternatives they offer. This is a constantly changing and developing process. Building as such is not enough. In the present-day life, architecture gave way to monuments and gradually lost its meaning. It lost the ability to create a better world – a world with open opportunities, open mind, a world beyond the mundane. Architecture is what enables us to feel at home in the world." This intriguing conception by Aaron Betsky, curator of this year's biennale, served as a background theme for the installations and manifests represented at the 11th International Architectural Exhibition.

### ინსტალაციები და მანიფესტები

წინა წლებისგან განსხვავებით, ბიენალეზე 56 სხვადასხვა ქვეყანა მონაწილეობდა (30 ჟარდინიში, 13 არსენალეზე და 13 ქალაქში). პროგრამა დატვირთული და მრავალმხრივი იყო: 24 „ივენთი" (ორჯერ მეტი ვიდრე გასულ წელს), ვორკშოფები, დიალოგები, ლექციები, შეხვედრები და ღია დებატები - თემაზე „არქიტექტურა შენობებს მიღმა".

გლობალური ურბანიზაციის ფონზე, როდესაც არქიტექტურა „ძეგლებად ან ერთგვარ სამარხებად" იქცა, როგორი უნდა იყოს თანამედროვე შემოქმედის როლი? როგორი არქიტექტურა უნდა შეიქმნას, რომ ამ სამყაროში, როგორც საკუთარ სახლში ისე კომფორტულად ვიგრძნოთ თავი? ბიენალეს ამ მთავარ შეკითხვაზე ყველა მონაწილე თავისებურ პასუხს გვთავაზობდა. ამავე საკითხებს ეძღვნებოდა მთავარი გამოფენაც "Out There-Architecture beyond building"- რომლის კურატორი თანამედროვეობის ცნობილი არქიტექტორი, კრიტიკოსი, მკვლევარი, პუბლიცისტი, კურატორი აარონ ბეტსკი იყო.

### INSTALLATIONS AND MANIFESTS

As different from previous years, there were 56 countries participating in this year's Biennale (30 were stationed in Giardini, 13 – in Arsenale and 13 more – in the city). The program offered a wide variety of activities, including 24 "collateral events" (twice as much as last year), workshops, dialogues, lectures, meetings and open debates on "Architecture Beyond Building".

What is the role of architects in the light of global urbanization, when architecture has turned into "monuments or tombs"? What kind of architecture should they create, how should they make sure that people feel comfortable in architectural environment? This question, offered by the Biennale, was answered by its participants to the best of their abilities. The same issues were covered by the major exhibition "Out There – Architecture Beyond Building", managed by one of the leading architects of the modernity, researcher, publicist and critic Aaron Betsky







ზაჰა ჰადიდის მასიური, ყვითელი ფერის ლოტოსის ფორმის ინსტალაცია არავის ტოვებდა გულგრილს. კომფორტული ფორმის ავეჯი „სახლის განცდას გიქმნიდა" –და ერთგვარად მის ფუნქციასაც ითავისებდა.

Massive yellow lotus-shaped installation by Zaha Hadid left no one indifferent. Her comfortable furniture evoked the feeling of home atmosphere and served as one.





კუპ ჰიმელბლაუს - Feed Back Space - ასტრობალონი სფერო, 60-იან წლებში შექმნილი მისივე - Blue of Heavenis- განმეორება იყო სლოგანით „არქიტეტქურა უნდა იწვოდეს". ავტორი საშუალებას გაძლევდა ინსტალაციაში „ჩართულიყავი" და შენი გულისცემა სამყაროს რიტმთან ჰარმონიაში მოგეყვანა.

Feed Back Space, created by Coop Himmelblau, actually featured his own "Blue of Heaven" (1960-ies) reiterated under the slogan "Architecture should burn bright – open mind, open space, open world". The author enabled the onlookers to interact with the installation and synchronise their heartbeat with the harmonious rhythm of the universe.



ასიმპტოტის ინსტალაცია - Prototypinf the future - მომავლის საცხოვრებლის სამი ტიპი, ჰანი რაშიდის ერთგვარი სკულპტურული ჯგუფი, თავისი შინაარსით დახვეწილი - ფილოსოფიური ინჟინერიის პოეზიას უფრო ჰგავდა.

Asymptote's installation "Prototyping the Future" showed three different types of houses of the future; refined and philosophical sculptural group by Hani Rashid rather resembled engineering poetry by its contents.

# ვენეციის ბიენალე

OUT THERE





ფრენკ გერის ინსტალაცია Ungapatchket ერთგვარად ეხმიანებოდა ტაძარს ან ქანდაკებას (მაგალითად თავისუფლების ქანდაკებას ნიუიურკში) და იგი მოსკოვში, არქიტექტორის მშენებარე პროექტის რემინსცენციას წარმოადგენდა. გერი ამტკიცებს, რომ შენობა კონსტრუქციის პროცესში უფრო მშვენიერია, ვიდრე დასრულებული. ეს ის კონსტრუქციაა, რომელიც იარსებებს შენობამდე და მის შემდეგაც. ბიენალეს პროცესში, იქვე ხდებოდა ამ ინსტალაციის მშენებლობა და კონსტრუქციის თიხით ხორცშესხმა.

Installation Ungapatchket (translated from Yiddish as "Things brought together") by Frank O. Gehry, resembling a temple or a sculpture (e.g. the Monument to Freedom in New York), was a reminiscence of the architect's ongoing Moscow-based project. Gehry insists that a building under construction is more beautiful than a finished one; the backbone is what exists before the building is completed and after it is destroyed. The installation was built and coated with clay all through the biennale.

„მარტოხელათა ქალაქი" ( S1ingltown) - ახალგაზრდა არქიტექტორების დროგ და კისელ კრამერის ინსტალაციაა - 9 სხვადასხვა პერსონაჟით. ისინი, რალაც მიზეზების გამო მარტო ცხოვრობენ ქალაქში. თითოეული მათგანი მარტოობის ისტორიის მატარებელია. აქვეა რომანტიული Life west, რომელიც ორმაგია და მისი ჩაცმა, ერთდროულად, მხოლოდ ორ ადამიანს შეუძლია და წითელი ღილაკი emergency button - ამ გარემოს მუდმივი ატრიბუტები... იუმორი, ირონია, სევდა, და რეალური სურვილი ამ „მარტოხელა" სივრცის, ქალაქის ორგანიზებისა. სტატისტიკური მონაცემებით, ხომ 2020 წლისთვის მსოფლიო მოსახლეობის 1/3 მარტო იცხოვრებს.

Singletown – an installation by young architects Droog Design and Kesselskrammer – featured nine different characters leading lonely life in a city: a pretty young widow, a young divorced man, a young lone mother, etc. Another component of the installation was a romantic "life vest" – a double-sided piece of equipment which could be worn by two persons at a time and which had a red "emergency button" as a perpetual attribute of the present-day world. The installation was saturated by humour, irony, sadness and a sincere wish to organize this "space of loneliness", because according to statistical data the world population will be only 1/3 of the current by 2020.



















გრეგ ლინი (მისმა ინსტალაციამ „ოქროს ლომი“ დაიმსახურა). ინსტალაცია- „გადამუშავებული სათამაშოების ავეჯი” - ფიქრობს, რომ ჩვენი სამყარო ზედმეტად პლასტიკური გახდა და ახალ სამშენებლო მასალას გვთავაზობს -აგურს, რომელიც ბავშვების სათამაშოების გადამუშავების შედეგად იქმნება, დაგვეხმარება ახალი განსხვავებული გარემო შევქმნათ.

Greg Lynn presented his installation “Recycled Toys Furniture” (which won the Golden Lion) in order to illustrate his opinion about the surrounding world having become too flexible and to offer us new construction material: brick manufactured from recycled toys. This brick, containing the elements of joy and play, should help us create a new, different world.

# Venice Biennale





არსენალის ინსტალაციებს შორის ორი გამოფენაა რომის შესახებ: Roma Interrota და Uniternal city. პირველი - პაოლო სარტოჯის 1978 წლის ისტორიული პროექტია, რომელიც 12 ცნობილი არქიტექტორის პროექტებს მოიცავს (ძიება „ახალი რომისა” - ავტ: ლეონ კრიერი, ალდო როსი, ვიტორიო გრეგოტი,) და Uniternal city - გაგრძელება ამ პროექტის 30 წლის შემდეგ - 12 არქიტეტურული ფირმა - იტალიიდან, ევროპიდან, ამერიკიდან და აზიიდან. აქვეა წარმოდგენილი 6 მოკლემეტრაჟიანი ფილმი - მცდელობა რომის პრობლემებზე საუბრისა.

Among Arsenale installations there were two expositions dedicated to Rome: Roma Interrota and Uneternal City. The former is a historical project by Paolo Sartoggi, summarising 12 architects’ quest of “New Rome”. Uneternal City, on its part, continues Roma Interrota with a 30-year delay: 12 architectural studios from Italy, Europe, America and Asia are invited to find their answers to the question: “How should the present-day Rome change? What can be the future identity of Rome?” You could also see 6 short documentaries, presenting an attempt of discussing the issues, related to Rome. The architects provide new urban logic, which is more open, less stable, more changeable and mobile than old Rome.









არსენალს გარეთ, არქ. ტოტან კუზუმბაევის ნამუშავარი, ყაზახეთის იურთა იდგა - შეხვედრის ადგილი ტრადიციული ნომადური და თანამდროვე ცივილიზაციისა.

Outside Arsenale architect Totan Kuzembaev had installed a Kazakh yurt, suggesting a convenient meeting point for the nomadic and modern civilizations.





არსენალის ბოლოს კი ლანდშაფტის ინსტალაციაა მისტიკური სახელწოდებით – „სამოთხისაკენ” - ავტორები გუსტაფსონ პორტერ და გუსტაფსონ გუტიე ნიკოლი. აქ, შეგიძლია დაჯდე, დაისვენო და დაფიქრდე იმაზე, რომ ადამიანმა სრული ბედნიერებისთვის ალბათ ხე უნდა დარგას და თავისი ბაღი გააშენოს.

In the far end of Arsenale there was a landscape installation with a mystical title “Towards Paradise”, created by Gustafson Porter-Gustafson Guthrie Nichol. Visitors, reaching this green oasis, were already tired with diverse impressions from architectural installations, and felt really happy to sit down, take some rest and consider that in order to reach happiness one should just plant some trees and cultivate a garden.

პოლიტიკურ განწყობას რუსეთის ირგვლივ, იქვე უკრაინის ანტისაომარი ინსტალაცია ამძაფრებდა, სახელწოდებით „თავშესაფარი ღმერთისთვის“.

Political atmosphere was further aggravated by an anti-militarist Ukrainian installation titled “A Shelter for the God”.

ესტონელების მძაფრად პოლიტიკური ნამუშევარი „გაზის მილი” ერთდროულად არსენალეში და ჟარდინიში იყო განთავსებულია და ეხმიანებოდა „გაზპრომის“ იდეას - რუსეთიდან გერმანიაში ნავთობსადენის შესახებ. იგი ხაზს უსვამდა ეკოლოგიურ და გეოპოლიტიკურ მოგება-წაგების ასპექტებს, პოლიტიკის განსაკუთრებულ განზომილებას და არქიტექტურის პოლოტიკურ განზომილებას.

Highly political work “Gas Pipe”, created by Estonians, was positioned both in Arsenale and the Giardini and echoed with the intention of GasProm to stretch an oil pipeline from Russia to Germany. “Gas Pipe” highlighted environmental and geopolitical benefits and risks, paying special attention to the political dimension of architecture. The installation, located in the most frequently visited part of Giardini, sprang out in front of the visitor unexpectedly; you just could not miss it. This abstract gas pipe was really intriguing and caused a strong bodily emotion.

ოქროს ლომი საუკეთესო ეროვნული პავილიონისათვის გადაეცა პროექტს „სასტუმრო პოლონეთი” (პოლონეთი). ახალგაზრდა პოლონელი არქიტექტორების იდეა აერთიანებდა ბოლო წლებში პოლონეთში აშენებულ 6 ცნობილ პროექტს ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ.

Golden Lion for the best National Pavilion was awarded to “Hotel Polonia” (Poland). This concept, created by young Polish architects, featured 6 famous projects recently implemented in Poland in their initial form and after their having changed.





# ვენეციის ბიენალე



ამ ორ (ასე მგონია, არაშემთხვევით განთავსებულ), ინსტალაცის შორის მდებარე რუსეთის პავილიონი (განთავსებული გამოფენის ერთ-ერთ უძველეს ნაგებობაში, რომელიც შჩუსევის მიერაა აგებული) - ჭადრაკის თამაში რუსეთისათვის - აერთიანებდა რუსეთში, ბოლო წლებში, აშენებულ უცხოელი და რუსი არქიტექტორების ყველა პროექტს. აქ იყო ზაჰა ჰადიდის, ნორმან ფოსტერის, ჟან ნუველის, რაფაელ ვინიოლის და სხვ. პროექტები. პავილიონში შესულს ერთგვარ უცნაური გრძნობა გეუფლებოდა... ვერ ხვდებოდი რა უნდოდა აქ ამ უცხოელ არქიტექტორებს, მაგრამ რუსეთი, აქაც, მთელ მსოფლიოს, თამაშის თავის წესებს და ჭადრაკის პარტიას სთავაზობდა..

The Russian pavilion located between these two installations (which does not seem accidental) – Chess-Play for Russia – united all the works by Russian and foreign architects, implemented in Russia during the last years. Here you could find projects by Zaha Hadid, Norman Foster, Jean Nouvel, Rafael Vinioli, SOM and KPF. The visitors felt very strange in this pavilion – it was hard to understand why projects by foreign architects were exhibited in the Russian pavilion, but Russia followed its usual line, forcing its own rules on the whole world.

საკმაოდ თვითმყოფადი იყო კანადის პავილიონი, რომელიც ქვეყნის არქიტექტურის განვითარების მთავარ მიმართულებად რეგიონალური არქიტექტურის არსებობას მიიჩნევდა.

An original exposition was offered by Canada, presenting regional architecture as the key direction of architectural development in this country.









პოლიტიკურ თემატიკას ქართველები აგრძელებდნენ ოლონდ ჟარდინის გარეთ-სან-გალოს მოედანზე პატარა ეკლესიაში, სადაც არქიტეტორთა კავშირის მიერ წარდგენილი სხვადასხვა ქართველი არქიტექტორის ნამუშევრებისგან შემდგარი ექსპოზიცია - „იდეიდან შენობამდე“ - ომის თემატიკის კადრებითა და პლაკატებით იყო გაჯერებული.

ჩეხეთის პავილიონი Sideways, წარმოშობით ქართველი არქიტექტორის ირაკლი ერისთავის საკმაოდ ხალისიანი ნამუშევარი, საშუალებას გაძლევდა არქიტექტურის და საცხოვრებლის პრობლემებზე შემოვლითი გზების მეშვეობით გეფიქრა.

Political theme was continued by the Georgians, who were stationed outside Giardini, in a small church located in San Gallo square, where the exposition “From Ideas to Buildings”, organized by the Union of Architects of Georgia, was interrupted by photos and posters, covering military actions.

Czech pavilion “Sideways”, created by architect Irakli Eristavi (ethnic Georgian), provided a series of amusing detours, which in the long run concentrated the attention of onlookers on architectural and residential issues.





ყველაზე ინოვაციური და მნიშვნელოვანი კი ალბათ ის იყო, რომ ეს ბიენალე გამოფენის ფარგლებს გასცდა და რეალური დისკუსიები შემოგვთავაზა. მოეწყო: საჯარო ლექციები, შეხვედრა-საუბრები მოწვეულ სტუმრებთან, თანამედროვეობის ცნობილ არქიტექტორებთან.

ეს იყო უნიკალური საშუალება ახალგაზრდა არქიტექტორებისა და პრესის წარმომადგენლებისათვის, მოესმინათ მეტრების პოზიცია არქიტექტურის რაობის შესახებ.

ბიენალეს მთელი ექსპოზიციის ახალი სამეტყველო ენა და ინფორმაციის მიწოდების მრავალმხრივი და არაორდინალური ხერხები, ხელოვნების სხვადასხვა დარგის სინთეზი (ასე სახასიათო თანამედროვე ხელოვნებისათვის), თეატრალურობა, ინსტალაციებისა და პერფორმანსების პრივალირება, მხოლოდ გიძლიერებდა ნანახის განცდას და ნელ-ნელა ამ პრობლემების ეპიცენტრში ექცეოდი, სხვადასხვა ქალაქის სატკივარსა თუ მომავლის იდეებს ითავისებდი, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობაც გიძლიერდებოდა და აარონ ბეტსკისთან ერთად ეძიებდი პასუხს შეკითხვებზე : როგორი მომავალი ექნება არქიტექტურას და როგორ მოვახერხებთ არქიტექტორები ისეთი ნაგებობების შექმნას, რომელიც სამყაროს შეცვლიან.

და ალბათ სწორედ ეს იყო ამ გამოფენის ორგანიზატორების მთავარი ჩანაფიქრი.





# Venice Biennale

But the most important and innovative fact is that this year's biennale by far exceeded the exhibition format and offered realistic discussions. There were public lectures, a series of meetings and talks with leading modern architects. Young architects and media representatives had a unique opportunity to talk to the masters and question them on the essence of architecture.

The unity of expositions, presented at the biennale, their integrity, diverse and original ways of presenting the projects, a range of multimedia tools and effects involved, new expression language, synthesis of various art trends, prevalence of installations and performances, only strengthened the impressions received from the biennale and placed the visitors into the epicentre of the featured issues, made them share the problems experienced by various cities and their vision of the future, intensified their feeling of responsibility toward the urban environment, and forced them to join Aaron Betsky in quest of answers to such questions as what the future of architecture is and how the architects will manage to create buildings capable of changing the world.

And probably this was the main goal of exhibition organizers.



მთავარი მოვლენა ვენეციის ბიენალეზე ოქროს ლომით დაჯილდოების ცერემონიაა. წელს, ბიენალეს ჟიურიმ მიიღო გადაწყვეტილება ოქროს ლომი უდიდესი წვლილისათვის არქიტექტურის განვითარებაში, ბიენალეს გახსნაზე გადასცენ ფრენკ გერის და პირველად ბიენალეს ისტორიაში არქიტექტურის ისტორიკოს ჯეიმს აკერმანს.

The key event of Biennale di Venecia is Golden Lion Award Ceremony. This year, the board of biennale, decided to award the Golden Lion for the Lifetime Achievement to Frank O. Gehry and – for the first time in the history of Venice Biennales – to historian of architecture James Ackerman.
















# კომპანია „რედიქსმა" ყვარელში მივიწყებული ტრადიცია აღადგინა

დეველოპერული კომპანია „რედიქსის" მხარდაჭერით კვლავ აღდგა გასულ საუკუნეში მივიწყებული პირველკურსელების ფიცის დადების ლამაზი ტრადიცია. ყვარელში, მარჯანიშვილების განახლებული სახლ-მუზეუმის მარანში თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პირველკურსელებმა საზეიმო ფიცი დადეს.

„ვფიცავ, რომ ერთგულად ვემსახურები სამშობლოს და გავხდები ჩემი საქმის პროფესიონალი" – ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია იმ ფიცისა, რომელიც ახალბედა მსახიობებმა საქართველოს სახალხო არტისტთან გურამ საღარაძესთან ერთად წარმოთქვეს. ფიცის დადებას ე.წ. „ნათლობა" მოჰყვა. დამსახურებულმა არტისტებმა მომავალ მსახიობებს სიმბოლურად, სახეზე გრიმის წასმით დაულოცეს შემოქმედებითი გზა.

სტუდენტების ფიცის დადების ტრადიციის განახლება თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის დაარსების 85 წლისთავსა და ყვარელში მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმის აღდგენას უკავშირდება.

ამ ცერემონიის გაცოცხლება კომპანია „რედიქსში" ჯერ კიდევ ზაფხულში დაიგეგმა. სწორედ მაშინ, როდესაც მარჯანიშვილების მუზეუმის რესტავრაცია დასკვნით ფაზაში შევიდა. ამ ისტორიული ძეგლის რეაბილიტაცია დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში კომპანია „რედიქსის", საქველმოქმედო ფონდ „ცისკრის" და ბანკ „რესპუბლიკის" (ჯგუფი „სოსიეტე ჟენერალი") დახმარებით მიმდინარეობდა. არქივში დაცულ ფოტოდოკუმენტებზე დაყრდნობით მთლიანად იქნა აღდგენილი უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი შენობა. განახლდა, გამდიდრდა და დაიხვეწა ექსპოზიცია.





პირველკურსელების ფიცის დადების ცერემონია თავდაპირველად ყვარელში, მოგვიანებით კი თელავში იმართებოდა. თავად კოტე მარჯანიშვილიც სწორედ ყვარელში მდებარე სახლის მარანში დგამდა თავის პირველ სპექტაკლებს. ამიტომ, მივიწყებული ტრადიციის აღდგენა ყვარლის განახლებულ მუზეუმში გადაწყდა.

„ფიცის დადებას სიამოვნებით ვესწრებოდით პედაგოგებიცა და სტუდენტებიც. რიტუალის დროს რომელიმე ცნობილი მოღვაწე ახალბედა სტუდენტებს სახეზე უსვამდა გრიმს, როგორც გარდასახვის სიმბოლოს. რექტორი პირველკურსელებს გადასცემდა სამახსოვრო საჩუქრებს, ზოგჯერ გრიმის ერთ კოლოფს, ზოგჯერ რომელიმე ავტორის წიგნს ავტოგრაფით. იყო ლხინი და არტისტული ზეიმი" . . . – ასე იხსენებს ამ ლამაზ ტრადიციას ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ვასილ კიკნაძე.





„მივიწყებული ცერემონიის აღდგენა დიდი სტიმული იქნება ახალბედა მსახიობებისათვის. კმაყოფილი ვარ, რომ ახალგაზრდებისთვის ასეთი სიხარულის მინიჭების შესაძლებლობა მოგვეცა. სასიამოვნოა, რომ ეს დაზიანებული და მივიწყებული შენობა გამოცოცხლდა და დღევანდელი დღეც სტუდენტებისა და უფროსი თაობის მსახიობებისთვის ულამაზეს, დაუვიწყარ მოგონებად დარჩება მთელი სიცოცხლის მანძილზე" – განაცხადა კომპანია „რედიქსის" გენერალურმა დირექტორმა ლაშა პაპაშვილმა.





ლაშა პაპაშვილის თქმით, ყვარლის მუზეუმში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტრადიცია დამკვიდრდება. მისი ინიციატივით ყოველწლიურად აქ წლის საუკეთესო სპექტაკლს პრემია „დურუჯი" გადაეცემა, რაც, თავისთავად, დამატებითი სტიმული იქნება ხელოვნების მოღვაწეთათვის.

ასე რომ, მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმი მომავალშიც უამრავ დამთვალიერებელსა და სტუმარს უმასპინძლებს, პირველკურსელები ისევ დადებენ ფიცს, გამოცდილი მსახიობები კვლავაც უსურვებენ მათ საოცნებო მწვერვალების დაპყრობას. საუკეთესოებს კი ყვარელი ისევ ელის – ამჯერად „დურუჯის" გადაცემის ცერემონიაზე.







# DS

Development Solutions

LIFESTYLE

ავტორადიო FM-95.1

